EUROEAST CULTURE
Eastern Partnership Culture Programme

SOUTH CAUCASUS HERITAGE CRAFTS

საერთაშორისო გამოფენა – კონკურსი

"ტრადიციული რეწვის საუკეთესო პროდუქცია სამხრეთ კავკასიიდან"

ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის კულტურის პროგრამის პროექტი: „ტრადიციული რეწვა – ერთიანი პლატფორმა განვითარებისთვის; შემოქმედებითი ინდუსტრიების სექტორის გაძლიერება საქართველოში, აზერბაიჯანსა და სომხეთში" გიწვევთ მონაწილეობა მიიღოთ გამოფენა-კონკურში „ტრადიციული რეწვის საუკეთესო პროდუქცია სამხრეთ კავკასიიდან".

კონკურსის მიზანი:

გამოავლინოს ბაზარზე ორიენტირებული, საექსპორტო პოტენციალის მქონე ტრადიციული რეწვის პროდუქცია.

მონაწილეობა შეუძლიათ:

გამოფნა - კონკურსში შესაძლებელია ტრადიციული რეწვის ნიმუშების წარდგენა აზერბაიჯანიდან, საქართველოსა და სომხეთიდან. საკონკურსოდ მიიღება მხოლოდ ხელნაკეთი და/ან ხელით დამუშავებული პროდუქცია. განაცხადის გაკეთება შეუძლიათ როგორც ინდივიდუალურ ოსტატებს ასევე მცირე საწარმოებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს და სხვა.

პრიზები

I პრიზი – საერთაშორისო ევროპულ სასაჩუქრე ბაზრობაზე მონაწილეობის სრული პაკეტი - პროდუქციის წარდგენა ქვეყნის სტენდზე, მგზავრობა და ცხოვრება გამოფენის მსვლელობის პერიოდში. პრიზი გადაეცემა მაქსიმალური ქულის მქონე მწარმოებელს (თითო გამარჯვებული თითო ქვეყნიდან. სულ სამი პრიზი).

II პრიზი – გამარჯვებული ნამუშევრების წარდგენა/ტესტირება ევროპის სასაჩუქრე ბაზრობაზე

ვადები და პროცედურა

გამოფენა-კონკურსი გაიმართება 2 ეტაპად:

I ეტაპი – პირველადი შერჩევა შევსებული აპლიკაციის და ფოტოსურათების საფუძველზე

შევსებული აპლიკაციების/განაცხადების მიღების ბოლო ვადაა 2013 წლის 15 ივლისი. მონაწილების სურვილის შემთხვევაში გთხოვთ განაცხადი გამოაგზავნოთ ელ-მისამართზე: info@gaccgeorgia.org ან მოიტანოთ ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის ოფისში.

წარდგენილი პროდუქციის (შეფუთულ მდგომარეობაში) პარამეტრები არ უნდა აღემატებოდეს: 1,00 მ. X 0,80 მ. X 0,50 მ-ს და 10 კგ-ს.

შესავსები აპლიკაციების, განაცხადის ფორმების ნიმუშების მიღება შესაძლებელია შესაბამისი ქვეყნის ოფისში, ასევე www.gaccgeorgia.org-ზე

შერჩეულ კანდიდატებთან დაკავშირება მოხდება 2013 წლის ივლისის ბოლოს.

II ფინალური ეტაპი - 2013 წლის 25-28 სექტემბერი, თბილისი, საქართველო
შერჩეული ნამუშევრები 25-28 სექტემბერს გამოიფინება თბილისში სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ერთობლივ გამოფენაზე. საერთაშორისო ჟიური გამოავლენს ტრადიციული რეწვის ყველაზე ინოვაციურ და ბაზარზე ორიენტირებულ პროდუქციას.

გამარჯვებული გამოვლინდება 2013 წლის 28 სექტემბერს, თბილისი, საქართველო

შეფასების კრიტერიუმები: ტრადიციული რეწვის ნიმუშები შეფასდება შემდეგი კრიტერიუმებით:

ქულათა მაქსიმალური რაოდენობა - 150

1. ტრადიციებთან კავშირი / ავთენტურობა (მაქსიმალური ქულა 25)	
1.1 ტრადიციული ტექნიკა	**10 max**
1.2 ტრადიციული დიზაინი	
ა) ტრადიციული ფორმები/ფერები	5 **max**
ბ) ტრადიციული ორნამენტი	10 **max**
2. ინდივიდუალობა და ინოვაცია (მაქსიმალური ქულა 20)	
2.1 ინდივიდუალური ნიშნები	**15 max**
2.2 ფუნქციონალური ინოვაცია	**5 max**
3. ესთეტიკური ღირებულება/მხატვრული სახის ერთიანობა (მაქსიმალური ქულა 20)	**20 max**
4. გაყიდვადობა (მაქსიმალური ქულა 85)	

4.1 ხარისხი:	
ა) შესრულების ოსტატობა	20 max
ბ) გამოყენებული მასალების ხარისხი, ჯამრთელობისთვის არასაზიანო მასალები	5 max
ც) მასალების ეკო-მეგობრულობა	10 max
4.2. ფუნქციასთან შესაბამისობა	10 max
4.3 ფასის შესაბამისობა	10 max
4.4. მოთხოვნა ბაზარზე	10 max
4.5 წარმადობა	5 max
4.6. წარდგენა და შეფუთვა	
ა) თანმხლები ინფორმაცია (ისტორია, ზომები, მასალის აღწერა, მოვლის წესები)	5 max
ბ) შეფუთვა	5 max
ც) ტრანსპორტაბელურობა	5 max

ორგანიზატორები

საერთაშორისო გამოფენა-კონკურსი ეწყობა ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის კულტურის პროგრამის პროექტის „ტრადიციული რეწვა – ერთიანი პლატფორმა განვითარებისთვის; შემოქმედებითი ინდუსტრიების სექტორის გაძლიერება საქართველოში, აზერბაიჯანსა და სომხეთში" ფარგლებში.

პროექტის წამყვანი პარტნიორი: ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი;

პროექტის პარტნიორები: ქ. თბილისის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახური, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, ევროპის სახლი, არკანელი (სომხეთი), ეკოსფერა (აზერბაიჯანი).

დამატებითი ინფორმაციისთვის გთხოვთ მიმართოთ

საქართველოში: საკონტაქტო პირები: ანო შანშიაშვილი, ირინა მანია
ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი "ისტორიალი";
მისამართი: ნ. ნიკოლაძის 7, თბილისი. 0108, საქართველო
ტელ: (+995 32) 2931335, ელ-ფოსტა: info@gaccgeorgia.org; www. gaccgeorgia.org